



როგორ დასრულდა სტუდენტური თვითმმართველობის აქციები თსუ-ში? ქრონოლოგია, პოზიციები, აქცენტები

სტუდენტური თვითმმართველობის აქციის პირველი დღე

გვ. 2-3

სტუდენტური თვითმმართველობის აქციის მეორე დღე

გვ. 2-3

ირაკლი კუპრაძე: რეპტორის გადადგომა მისი მხრიდან სისუსტე იქნება!

გვ. 3

გიორგი აროვალიძე: საჭიროა სისტემური ცვლილებები!

გვ. 4

მათე სოფარია: სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი სწორი ფორმა არის „მოლაპარაკების მაგიდასთან“ დასხდომა

გვ. 4

პაატა გახტურიაძე: ვასუსს ნუ გვთხოვთ იმ წარსულზე, რომელიც ჩვენ არ შეგვიქმნია

გვ. 5

თსუ-ის აკადემიური საბჭოს განცხადება

გვ. 5

აქციის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეპტორის გადადგომის მოთხოვნით დაიწყეს

გვ. 6

გოგი გომოლაშვილი: როგორი იყო და როგორია დღეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რეპტორი საპროტესტო აქციებზე

გვ. 6

აქციის მომხმარებელთა ნაწილის მიხედვით შეხვედრა

გვ. 7

ბახვა კვიციანიშვილი: რა საკითხებზე დაიწყო მსჯელობა სამინისტრომ ახლადშეიქმნელ კომისიასთან ერთად?

გვ. 8

ალექსანდრა ცაგარელი: სახელმწიფო უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია და ამის მიხედვით გათარღოს რეფორმა

გვ. 8

რამაზ საყვარელიძე: თუ ხელშეწყობად მოგვეპოვებოდა სახელმწიფო, ეს არ ნიშნავს ავტომომხმარებლის შელახვას

გვ. 9

სანდრო ტაბატაძე: რა ინვესტიციები იმედგაცრუებას?

გვ. 10

იოსებ სალუქვაძე: აღმინისტრაციის ჩორობანიძის საკითხი მომავალი წლისთვის უკვე დაგეგმილია

გვ. 10



მთავარი პრიორიტეტი — კულტურალისტური მედიაგარემო

ბოლოდროინდელი მოვლენების კვალ-ობაზე გაზეთის სარედაქციო კოლექტივმა საჭიროდ მიიჩნია ემსჯელა სტუდენტური თვითმმართველობის აქციების მიმდინარეობისას გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მისამართით გამოთქმულ

შენიშვნებთან დაკავშირებით და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: განსხვავებული თვალსაზრისების გაზეთში წარმომჩენასთან მიმართებით რედ-კოლექტივი უახლოეს მომავალში შეიმუშავებს დოკუმენტს, რომელიც დაეფუძნება, პრო-

ფესიული სტანდარტების კუთხით, საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებას. ეს ხელს შეუწყობს გაზეთის რედაქტორისა და ჟურნალისტების პროფესიულ დამოუკიდებლობას და მკაფიოდ განსაზღვრავს, ასევე, სარედაქციო პრიორიტეტებს.

რედაქცია ღია ნებისმიერი თვალსაზრისის წარმომჩენისთვის, რომელიც დაეფუძნება პროფესიული ეთიკის ნორმებს და დაზუსტებულ ფაქტებს, რითაც ხელს შეუწყობს პლურალისტური მედიაგარემოს შექმნას.

ამ პრინციპების დაცვას მეტ-ნაკლები წარმატებით გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ მუდამ ცდილობდა, მაგრამ დღეს ამ ყოველივეს ასახვას დოკუმენტის სახით ვაპირებთ.



საჭიროა სისტემური ცვლილებები!

გიორგი არაბალიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

— უნივერსიტეტში რომ პრობლემებია, ამაზე სტუდენტთა ნაწილი უკვე წლებია საუბრობს. ეს ეხება ადმინისტრაციის გაბერებულ შტაბებს, არამიზნობრივად დახარჯულ რესურსებს და ა.შ. როდესაც მე და ჩემი მეგობრები ამ ყველაფერზე ვსაუბრობდით, მაშინ სტუდენტურ თვითმმართველობას სხვა პოზიცია ეკავა — ისინი სრულიად ინერტული იყვნენ. ჩვენი მხრიდან იყო არა ერთი შეთავაზება, რომ დაგვეყო ამ პრობლემებზე ერთად საუბარი, თუმცა ისინი აცხადებდნენ, რომ ეს მათი კომპეტენცია არ იყო. უნივერსიტეტის გადაცემაში ყველამ მოვისმინეთ თვითმმართველობის პრეზიდენტის შალვა საბაურის კომენტარი, სადაც იგი ამბობს, რომ ამ სიტუაციაში საბიუჯეტო დაფინანსების მოთხოვნა არამიზნობრივია. დღეს კი სტუდენტური თვითმმართვე-



ლობის მოთხოვნებს შორის არის საბიუჯეტო დაფინანსება. ჩანს ისე, რომ თვითმმართველობის სისტემამ, თითქოს, ერთ დღეში განი-

ცდა რაღაც ცვლილება, რაც დაუფერებელია. ჩვენ არ გვჯერა მათი გულწრფელობის და ამ ყველაფრის უკან ვხედავთ გარე ძალების ჩარევას.

— თვითმმართველობის წევრები აცხადებენ, რომ აღარ გვინდა წინამორბედების ჭუჭყი კიდევ გვეცხოს, ჩვენ გადავწყვიტეთ ამისგან გათავისუფლება... არც ამ ნათქვამს ენდობით?

— მათი მთავარი მოთხოვნაა რექტორის გადადგომა, ანუ ფაქტია, რომ ისინი ებრძვიან არა სისტემას და ითხოვენ არა სისტემურ ცვლილებებს, არამედ კონკრეტული ადამიანის წასვლას პოსტიდან. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ პრობლემები არა კონკრეტულ ადამიანებში, არამედ იმ არსებულ სისტემაშია, რაც უნივერსიტეტშია.

სხვა დანარჩენ მათ მოთხოვნებს რაც შეეხება, ზუსტად იმავე შინაარსის მოთხოვნებით ვიდექით ჩვენ აქციებზე და მრავალი წელია ერთსა და იმავეს ვიმეორებთ.


— თქვენ არ ითხოვთ რექტორის გადადგომას?

— არ ვითხოვ რექტორის გადადგომას, არ ვერჩი პიროვნებებს, პრობლემა არის სისტემაში. არა მგონია, რექტორის გადადგომით ეს პრობლემები მოგვარდეს. ოდნავ მაინც რომ ვიყო დარწმუნებული, რომ ვლადიმერ პაპავას გადადგომა რაიმეს უკეთესობისკენ შეცვლის, პირველი ვიქნები, ვინც ამას მოითხოვს.

თვითმმართველობა თავად წარმოადგენს იმ სტრუქტურას, რომელიც სტუდენტების მიერ გადახდილ ფულს ხარჯავს არამიზნობრივად. აუცილებელია უნივერსიტეტში დაიწყოს რეფორმა, მათ შორის კი სწორედ თვითმმართველობის რეფორმა და მის ერთადერთ ფუნქციად დარჩეს საფაკულტეტო საბჭოებში, ადმინისტრაციასა თუ რექტორატში სტუდენტთა ინტერესების დაცვა და არა კონცერტებისა და წვეულებების გამართვა.

ინტერვიუ ჩაწერილია 21 ოქტომბერს

მომზადდა ნინო კაკულიამ



სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი სწორი ფორმა არის „მოლაპარაკების მაგიდასთან“ დასხდომა

ინტერვიუ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საკულტურის სტუდენტთან, „გის ჯგუფის“ (გაიონფორმაციული სისტემაგის ჯგუფი) წარმომადგენელთან მათი სოფიანასთან.

— რას ფიქრობთ უნივერსიტეტში მიმდინარე დღევანდელ პროცესებზე?

— ცხადია, სიტუაცია უაღრესად დაძაბულია. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო და იქნება ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილი სახელმწიფოში. ისტორიას ახსოვს უნივერსიტეტიდან დაწყებული გადატრიალებები. ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში სტუდენტი წარმოადგენს დიდ ძალას. შესაბამისად, ყველა კარგად უნდა აცნობიერებდეს მის მიერ გადასადგმელ მომდევნო ნაბიჯებს, რადგან, შესაძლოა, ნებისმიერი არასწორი ან ახალგაზრდული სისწრაფით მოფიქრებული გადაწყვეტილება სავალალო აღმოჩნდეს უნივერსიტეტისთვის.

— არის თუ არა ადეკვატური შიშობილობის დაწყება რექტორის გადადგომის მოთხოვნით?

— ყველა ადამიანს აქვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უფლება და შესაძლებლობა. ასევე, სიტყვის თავისუფლება. მაგრამ, ფიქრობთ, რომ არსებობს უფრო ცივილიზებული გზები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. რა თქმა უნდა, პრობლემა ყველგან არის — უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე. მაგალითად, ჩვენ, გეოგრაფებს, სხვადასხვა სახის პრობლემა გვანახებს, რასაც თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას. ჯერჯერობით გარემოებათა გამო, გეოგრაფიის მიმართულება, ფაქტობრივად, გამოირიცხავს ყოველგვარ განვითარებას და თანამედროვე ტექნოლოგიებს.



„გის ჯგუფის“ (რომლის წარმომადგენელიც ვარ) მიზანია განათლებული, რაციონალურად მოაზროვნე, ტექნოლოგიური უნარ-ჩვევებით გამოირჩეული სტუდენტების „დამეგობრება“ და მათი შემდგომი განვითარებისთვის საფუძვლის მომზადება.

მიგვაჩნია, რომ გეოგრაფია იმ სახით, რაც დღეს უნივერსიტეტში ისწავლება, არავისთვის აღარაა საჭირო. გვსურს, შევცვალოთ მთელი რიგი თემები და გავხადოთ უფრო მეტად მობილური, საინტერესო და, რაც მთავარია, თანამედროვე. თუმცა, ჩვენ არ ვაპირებთ შიშობილობის დაწყებას, ვიცით, რომ ბატონი რექტორი, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან ერთად, აუცილებლად მოგვისმენს და ეტაპობრივად დაგვეხმარება არსებული პრობლემის გადაწყვეტაში. პრობლემის გადაჭრის გზებსა და გეგმაზე აქ ვერ ვისაუბრებ. სრული დოკუმენტი, ფაქტებითა და არგუმენტებით გაჯერებული, გადაეგზავნება რექტორს.

სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. უნივერსიტეტში დაგროვებული პრობლემები ათწლეულებიდან მოდის და იგი დღევანდელი მმართველობის უშუალო შედეგი არ არის. საჭიროა ძირითადი სისტემური ცვლილებები. ამისათვის კი უნდა არსებობდეს ჯანსაღი, სწორი კომუნიკაცია ხელმძღვანელობასა და სტრუქტურებს შორის. სტუდენტური თვითმმართველობა უნდა ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას ყველა სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებაში არსებული საწარმოს შესახებ, რათა სწორი აქცენტები გააკეთოს. პრობლემების მოგვარებაში აუცილებლად უნდა ჩაერთონ აკადემიურად მაღალი მოსწრების სტუდენტები.

მხოლოდ რექტორების შეცვლა საქმეს ვერ შევლის!

— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სიტუაციის განმუხტვა?

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი სწორი ფორმა არის „მოლაპარაკების მაგიდასთან“ დასხდომა და არგუმენტირებული მსჯელობა. რასაკვირველია, პირველ რიგში, უნდა არსებობდეს ურთიერთპატივისცემა. თითოეულმა პროფესორმა და სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს, სად იმყოფება, რათა არ მისცეს საკუთარ თავს იმის თქმის ან ისე თქმის უფლება, როგორც უნივერსიტეტს არ ეკადრება!

„გის ჯგუფმა“ რამდენიმე თვის წინ საკუთარ თავზე გამოსცადა, რომ ვლადიმერ პაპავა აფასებს სტუდენტების ჯანსაღ აზრს და შეძლებისდაგვარად მხარში უდგას ყოველ დადებით აქტივობას, რასაც საფუძვლად სწავლა და განვითარება უდევს.

ინტერვიუ ჩაწერილია 21 ოქტომბერს

მომზადდა ნინო კაკულიამ

აქციის მონაწილეება შიმშილობა რეპტორის გადადგომის მოთხოვნით დაიწყო

21 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე აქციის მონაწილე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები თსუ-ის რეპტორატის წინ დარაზანში შეიკრიბნენ და შიმშილობა დაიწყეს.

„ძალიან ბევრი პრობლემაა საუნივერსიტეტო სივრცეში, რომორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული კუთხითაც. წელიწადზე მეტია ვსაუბრობთ ამ პრობლემაზე და რეალური ძვრები არ არსებობს. საჭირო გახდა ადამიანების ქუჩაში გამოსვლა, რათა დაწყებულიყო პრობლემების მოგვარება. ჩვენ გავაგრძელებთ შიმშილობას, სანამ არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნა და, ვფიქრობ, უნივერსიტეტის რეპტორს უნდა ეყოს მორალური თუ საქმიანი ლოგიკა იმისთვის, რომ სტუდენტები არ აშიმშილონ თავისი სპაისი გადასარჩენად. რეპტორის შეცვლის შემდეგ, როცა ეს ადამიანი წავა, შემდგომ ამისა, ყველა პირთან, რომელიც არის საუნივერსიტეტო მართვის პროცესში ჩართული, დავიწყებთ მოლაპარაკებებს — როგორ უნდა გამოვსწორდეს პროცესი, რა უნდა დალაგდეს და ა.შ.“ — აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შალვა საბაუ-რმა.

შიმშილობის აქციის პარალელურად აკადემიური საბჭოს კაბინეტში აკადემიური საბჭოს წევრები, ფაკულტეტების დეკანები, რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ, რის შემდეგაც აქციის მონაწილეებთან გავიდნენ და შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავალს — „ცარიელი ფურცლიდან“ დიალოგის დაწყებას — სთავაზობდნენ. მოშიმშილეებმა გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალეს.



კომენტარი

„თანამდებობის დატოვება არ არის პანაცეა იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რასაც სტუდენტები აყენებენ. მიზანია, რომ დღეს უნივერსიტეტს სჭირდება ერთად დგომა. თანამდებობის დატოვება პრობლემას შეუქმნის უნივერსიტეტს და ამის გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებ. დარწმუნებული ვარ, რომ მოიპოვება კონსენსუსი. მზად ვარ მათთან ნებისმიერი კომპრომისთვის. აკადემიური საბჭოს წევრებთან შეხვედრის შემდეგ დღეს დავიწყებთ მალე ტიპიურ ტერმინებს. მიუხედავად ამისა, მზად ვარ მათთან სასაუბროდ ნებისმიერ ფორმატში. თუ სურთ მართლაც დავლაპარაკოთ და აკადემიური საბჭოს წევრებთან ცალკე შეხვედრები. კონფრონტაციით საქმე არ გაკეთდება, კონფრონტაციით უნივერსიტეტი შეიძლება შევიდეს ჩიხში. საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის დიალოგი — სხვა გზა არ არის. ნამდვილად არ მიწინააღმდეგავს, რომ ვინმეს რაიმე ჯანსაღი პრობლემა შეექმნას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გონიერება გაიბარჯება.“

წლების განმავლობაში ბევრი პრობლემა დაგროვდა — ეს ინფორმაცია არა მხოლოდ მათთან, სტუდენტებთან სხვა ჯგუფებთანაც შეიძლება გავიყოს. ჩვენ რაღაც ცვლილებები გავატარებთ და დავა უკვე შევამოვი ტაბი ცვლილებებისა. მზოგა ამ ცვლილებების გატარების ჩვენთან არის, მაგრამ ეს სტუდენტების ჩართულობით და მოწინააღმდეგე უნდა გაკეთდეს. ჩვენ გვინტერესებს მათ მიერ დანახული უნივერსიტეტი როგორია, უწინააღმდეგე ყოველსა — ეს არის ჩემი პოზიცია და, აქედან გამომდინარე, მზად ვარ მათთან თანამშრომლობისთვის“, — ასეთი კომენტარი გააკეთა რექტორმა ლადო პაპავამ დღის ბოლოს.

შალვა საბაურაძე



როგორი იყო და როგორია დღეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რეაქცია საპროტესტო აქციებზე

ინტერვიუ რეპტორის მრჩეველთა საბჭოს წევრთან გიორგი გოგოლაშვილთან

— იმისთვის, რომ გავაგებოთ პარალელი — როგორი იყო და როგორია დღეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რეაქცია იმ საპროტესტო გამოსვლებზე და მოთხოვნებზე, რაც უნივერსიტეტში ამ წლების მანძილზე სხვადასხვა დროს ფიქსირდებოდა?



ამას აუცილებლად სჭირდება დიალოგი, მსჯელობა და შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. რა იყო 2006 წელს ჩვენი მოთხოვნა და რატომ გამწვავდა ვითარება ჩვენსა და უნივერსიტეტის თუ სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის? ჩვენ მაშინ ვხედავდით, რომ ირღვეოდა კანონი „უმალღესი განათლების შესახებ“ და ირღვეოდა განუსაზღვრელად... გახსოვთ, ალბათ, როცა გამოცხადდა აკა-

დემიური კონკურსები, ამ გადაწყვეტილებით დაირღვა კანონის 4 ძირითადი პუნქტი. ჩვენი მოთხოვნა მოთხოვნა იყო — რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში! შეხვედრაზე რექტორმა გიორგი ხუბუამ მაშინ პირდაპირ დაგვისვა საკითხი, რომ არ ვილაპარაკებთ კონკურსების შესახებ. ჩვენ დავტოვეთ შეხვედრა, რადგან ჩვენთვის მთავარი ამ კონკურსებზე უარის თქმა იყო. შემდეგ კი ადმინისტრაცია თავისი მიზნის მისაღწევად და ჩვენი პროტესტის შესაჩერებლად წავიდა რადიკალურ ნაბიჯზე — პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო ჩართეს საქმეში და გახსოვთ, ალბათ, 9 პროფესორი გაგვასამართლეს ხულიგნობის ბრალდებით. ჩვენ დაგვაჯარიმეს და ა.შ.

— გულისხმობენ იმას, რომ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია არ დაჩქარა და ა.შ.

— სამწუხაროდ, მეც და ჩემი თაობის პროფესორებს ბევრი რამ არ მოგვწონს, ბევრი რამ შესაცვლელია, მაგრამ გავითვალისწინოთ: როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება უნივერსიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთების თაობაზე, იქ ერთი პუნქტი ასეთი იყო, რომ კონკურსით არჩეული თანამშრომლები კონკურსის ვადის გასვლამდე დარჩებიან უნივერსიტეტში. ანუ დღევანდელ რექტორს, სამწუხაროდ, კანონმდებლობა არ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ შეცვალოს ის, რაც შესაცვლელია. როგორც კი რექტორი ამ მიმართულებით გადადგამს ნაბიჯს და მოისურვებს ვინმეს გაშვებას, ეს უკვე კანონსაწინააღმდეგე ნაბიჯად ჩაეთვლება მას. ამიტომ არის საუბარი ახლა, რომ შეიცვალოს კანონმდებლობა, უნივერსიტეტმა მიიღოს განსაკუთრებული სტატუსი და მიეცეს რექტორს შესაძლებლობა — გაატაროს ის რეფორმები, რაც საჭირო და აუცილებელია უნივერსიტეტისთვის.

შალვა საბაურაძე

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას მოქარაობის — „სტუდენტები განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ“ — წარმომადგენელთა სოციალური ქსელში გავერსივით მიმართვა მოაწოდეს, რასაც უცვლელად ვაპყობთ.

„სტუდენტები განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ“ — მიმართვა

წლების განმავლობაში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიტუაცია უცვლელია. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა ცვლილების მიუხედავად, არსებობს განაგრძობს კორუმპირებული, ელიტური და კლანური სისტემა. ეს სისტემა სტუდენტების მიერ მოპოვებული რესურსებს არამიზნობრივად იყენებს საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. შედეგად, სტუდენტის სოციალური რეალობიდან გამომდინარე მაღალი სწავლის საფასურის გადახდის მიუხედავად, უნივერსიტეტი უმწვავესი გამოწვევების წინაშე დგას: განადგურებულია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, სასწავლებლებში არ მიმდინარეობს სრულფასოვანი აკადემიური პროცესი, მოსაგვარებელია სტუდენტური საერთო საცხოვრებლის პრობლემა, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას საუნივერსიტეტო ტერიტორიების პრივატიზაციის ხარჯზე ცდილობს. არ არსებობს ქართულ ენაზე შექმნილი კლასიკური და ანთოლოგიური ლიტერატურა და ა.შ.

ამავე სისტემის ნაწილია სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ილუზორული წარმომადგენლობითი ორგანოა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მათთვის გაცემულ თანხას, საერთო სიკეთის შექმნის ნაცვლად, საკუთარი ძალაუფლების გამყარებისთვის და სტუდენტებს შორის კონფორმიზმის, შემგუებლობის გაძლიერებისთვის იყენებს. ისინი ამკვიდრებენ შეხედულებას, რომ მნიშვნელოვანი სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქცია გასართობი ღონისძიებების ორგანიზება უნდა იყოს, რაც აქრობს კრიტიკულობას და აყალიბებს სოციალურ ნიჰილიზმს, სტუდენტთა ყალიბდება პასიურ დამკვირვებლად საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

უკანასკნელ პერიოდში, თვითმმართველობამ გადაწყვიტა პოლიტიკა შეეცვალა. სტუდენტთა ნაწილს ეპარება თვითმმართველობის ელიტური ნაწილის გულწრფელობაში. როგორც ქვეყანაში, ასევე უნივერსიტეტში, მოახლოებულია არჩევნები. შესაბამისად, ისინი გრძობენ საკუთარი გავლენისა და ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს. პრობლემები, რომლებიც მათთვის წლების განმავლობაში შეუმჩნეველი იყო, მოულოდნელად, მათი დღის წესრიგის ნაწილი გახდა. ხოლო ადამიანები, რომლებიც აღნიშნული გამოწვევების შესახებ წლების განმავლობაში საუბრობდნენ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მართულ ინდივიდუალურ გამოაცხადეს. ამასთანავე, მათ ძირითადი აქცენტი დასვეს არა სისტემურ ცვლილებებზე, არამედ კონკრეტული პერსონის, რექტორის გადადგომაზე.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე განათლების პოლიტიკაში, ფუნდამენტური გარდაქმნები განსახორციელებელი. რექტორთა ცვლადობამ სისტემას ვერაფერი დააკლო. ჩვენ, ყველა პასუხისმგებელი სუბიექტისგან (სტუდ. თვითმმართველობისგან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და რექტორატისგან, განათლების სამინისტროსა და პარლამენტისგან) მოვითხოვთ:

1) სტუდენტური თვითმმართველობის ერთადერთ ფუნქციად საუნივერსიტეტო წარმომადგენლობით ორგანოებში (საფაკულტეტო საბჭოები, სენატი) მუშაობა განისაზღვროს; გაუქმდეს მისი ბიუროკრატიული სტრუქტურა. სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხაზე დანესდეს მკაცრი კონტროლის მექანიზმები;

2) წლის ბოლომდე გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სისტემური გარდაქმნის მიმართულებით — განისაზღვროს ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ზუსტი ფუნქცია. თანამდებობები დატოვონ საშუალო და მაღალი რგოლის თანამდებობის პირებმა, რომლებიც სათანადოდ ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას;

3) საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტში დაუყონებლივ დაიწყოს კანონი „უმალესი განათლების შესახებ“ ცვლილება, რომელიც გააუმჯობესებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესებს და ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის დემოკრატიული პრინციპების მიხედვით მართვას;

4) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვითხოვთ უნივერსიტეტისათვის ბაზური დაფინანსების გამოყოფას;

5) მოვითხოვთ ეკონომიკის სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის არსებული სადავო ობიექტების უნივერსიტეტისათვის დაბრუნებას საერთო საცხოვრებლებისა და საუნივერსიტეტო საქმიანობისათვის საჭირო სივრცეების მოსაწყობად.

ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველა ჯგუფთან, მათ შორის, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, თუ ისინი ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების პრინციპებს სრულად გაიზიარებენ. პრივილეგიების დათმობისა და პრობლემების პერსონიფიცირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ნებისმიერ სტუდენტურ ჯგუფს შორის შესაძლებელია საერთო საქმისთვის სასარგებლო კომუნიკაციის დაწყება.

თუ ხელშეწყობად მოგვევლინება სახელმწიფო, ეს არ ნიშნავს ავტონომიურობის შელახვას

ბლიზ-ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველთან რამაზ საყვარელიძესთან



— რას ურჩევდით სამინისტროს მოცემულ სიტუაციაში?

— უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს შეიძლება უფრო რთული მიზეზები ჰქონდეს, ვიდრე მხოლოდ საუნივერსიტეტო პრობლემები. ამას ნუ შევყვებით ახლა. ფაქტია, რომ არის პრობლემები, რომლებზედაც პრაქტიკულად უკვე რამდენიმე წელია საუბრობს სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფი. სამინისტროს ურჩევდი, რომ ის ჯგუფიც, რომელიც აქამდეც აყენებდა პრობლემებს, ჩართოს კომისიაში და მხოლოდ მოშიშნულელებთან მუშაობა ნუ იქნება პრიორიტეტი.



სამინისტროს ვურჩევდი, რომ ის ჯგუფიც, რომელიც აქამდეც აყენებდა პრობლემებს, ჩართოს კომისიაში და მხოლოდ მოშიშნულელებთან მუშაობა ნუ იქნება პრიორიტეტი.

სალი აზრი შეიძლება იმ სტუდენტებშიც იყოს, რომლებიც ამ დღეებში არ შიმშილობდნენ. სოციალურად აქტიური მხოლოდ ის არ არის, ვინც რადიკალურ პოზიციებს იკავებს. ასე რომ, კომისიის გაფართოება, ჩემი აზრით, სასურველია. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ ჯერ შემუშავდეს სტრატეგია და სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში კი სამინისტრომ, ნაბიჯ-ნაბიჯ უკვე უნივერსიტეტთან ერთად იზრუნოს მის განხორციელებაზე, მიზანშეწონილია, რადგან ბევრი პრობლემა, რომელიც

უნივერსიტეტს აქვს, თავად უნივერსიტეტის ძალებით, ფაქტია, რომ ვერ წყდება. სახელმწიფოს, ანუ სამინისტროს დახმარება, როგორც ჩანს, სასურველი არის პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტისთვის.

— ამით ხომ არ იზღუდება უნივერსიტეტის ავტონომიურობა?

— ამ ჩარევას ავტონომიურობის შელახვას ვერ დავარქმევდი, რადგან თავის ბედ-ილაღს, ამ შემთხვევაშიც, უნივერსიტეტი წყვეტს. საკითხი უნივერსიტეტის სტუდენტების მხრიდან დაისვა. თუ ხელშეწყობად მოგვევლინება სახელმწიფო, ეს არ ნიშნავს ავტონომიურობის შელახვას, რადგან გადაწყვეტილებებს იმაზე — ვინ იყოს უნივერსიტეტის სათავეში, იღებს თავად უნივერსიტეტი — ეს არის ავტონომიურობის ძირითადი გამოხატულება.

მომზადდა ნინო კაკულიანმა



სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მინისტრთან შეხვედრა



რა ინვესციები ჩემი იმედგაცრუებას?



სანლო ტაბათავა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერება II კურსის სტუდენტი

სტუდენტურმა თვითმმართველობამ კვირა რადიკალური მოთხოვნებით დაიწყო და დღის წესრიგში დააყენა ის პრობლემები, რომლებზეც სტუდენტები დიდი ხანია ვსაუბრობთ. ბიუროკრატიული სისტემის „დასრულების“ იდეით გაერთიანებულებმა შიმშილობაც კი დაიწყეს, მაგრამ განათლების სამინისტროს ჩარევის შემდეგ, მათ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელეს ღონისძიებების გამართვა, ერთი განსხვავებით: საკუთარ თავზე აიღეს საუნივერსიტეტო პრობლემების გადაჭრა და სტუდენტთა უფლებების დაცვა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რამდენიმე თვეში თსუ-ის კანცლერის, ხოლო უფრო გვიან თავად სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები იგეგმება, მაშინ მარტივი ასახსნელია, რატომ დაიწყო ამ ინსტიტუტმა საკუთარი პრიორიტეტების შეცვლა ახლა და არა უფრო ადრე. სამწუხაროდ, არსებული შენარჩუნება და კონფორმისმი საუნივერსიტეტო საზოგადოების დიდი ნაწილის საარსებო საშუალებაა. იგი პირადად ჩემში იმედგაცრუებას იწვევს, ამიტომაც ეს ჩემი ბოლო კომენტარია სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ.



ადმინისტრაციის რეორგანიზების საკითხი მომავალი წლისთვის უკვე დაგეგმილია

ინტერვიუ თსუ-ის ვიცე-რექტორთან იოსებ სალუქვაძესთან

— უნივერსიტეტში ჩატარებული სტუდენტური აქციების ფონზე დღის წესრიგში დადგა სტუდენტთა მომსახურების სამსახურების რეორგანიზაციის საკითხი. გაქვთ თუ არა ამ მიმართულებით გარკვეული გეგმა და რას მოიცავს ის?

— ამ საკითხებს მთლიანად ვერ მოვიცავ, რადგან მათი მხოლოდ ნაწილი შედის ჩემს კომპეტენციაში. არსებობს ბრძანება სტუდენტთა მომსახურების განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ. ამ ბრძანების საფუძველზე არის შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ უკვე გვექონდა შეხვედრა ჯგუფის წევრებთან, ხოლო ხვალ, 27 ოქტომბერს უკვე ვხვდები სტუდენტებს, რომ მოვისმინოთ მათი პოზიციები და ერთად შევიმუშაოთ გარკვეული გზები პრობლემების გადასაწყვეტად და მომსახურების გასაუმჯობესებლად. ვფიქრობთ, რომ სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ უკვე გამოიკვეთება წინადადებები, რომელსაც სამუშაო ჯგუფს შევთავაზებთ. გადაწყვეტილებების მისაღებად ჩვენი დიდი დრო არ გვაქვს — 5 დეკემბრამდე უნდა მოვრჩეთ ამ სამუშაოებს, რომ ძირითად ფორმატზე შევჯერდეთ.

ჩემი აზრით, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ისინი ამ პროცესებში მონაწილეობენ. დღეს ეს განცდა მათ არ აქვთ და როცა ეს არ არის და არსებობს ობიექტური პრობლემები, იქმნება კონფლიქტური სიტუაცია. სტუდენტების წადილი სრულიად გასაგებია — მათ უნდა, რომ კონცენტრაცია გააკეთონ იმაზე, რისთვისაც



საც უნივერსიტეტში მოვიდნენ — ეს არის სწავლა, ახალი ცოდნის მიღება და თავიანთი კარიერის გაგრძელება. როცა მათ მენეჯმენტის ან ადმინისტრაციული პროცედურების გამო ექმნებათ პრობლემა, ცხადია, უწინდებით პროტესტის განცდა. ამდენად, ჩვენ ვაპირებთ, ყველა ამ პროცესში ჩავაბათ სტუდენტები (ნაწილობრივ აქამდეც ასე იყო) და ერთად მოვაგვაროთ ყველა სირთულე.

— სტუდენტების მოთხოვნებში ასევე გამოიკვეთილი იყო უკმაყოფილება საქმის წარმოების გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ მექანიზმზე და ისინი საქმის ელექტრონულ წარმოებაზე გადასვლას ითხოვდნენ. რა ინფორმაცია ფლობთ ამის შესახებ, რამდენადა შესა-

ძლებელია, რომ თუნდაც შიდა წარმოება მოხდეს ელექტრონულად?

— როგორც ვფიქრობ ინფორმაციას, აქამდეც დაწყებული იყო ამგვარი საქმის წარმოებაზე საუბარი, თუმცა ჯერ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ და ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. გარკვეულწილად, მეც ვეთანხმები იმას, რომ დიდი დრო იხარჯება ქაღალდების ტრიალში და არა მარტო სტუდენტების, არამედ პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც უნდა არსებობდეს ერთი ფანჯრის პრინციპი, რისთვისაც არსებობს ელექტრონული ფორმატი, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არსებობს ობიექტური სირთულეები, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას უშლის ხელს. ვფიქრობ, რომ ეს პროცესი მაინც გარდაუვალია და უნივერსიტეტი აქამდე, რაც შეიძლება, მალე უნდა მივიდეს, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ცუდი მართვა ელექტრონული საქმის წარმოებაშიც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ აქ უნდა გამოიკვეთოს ვინ რაზეა პასუხისმგებელი — ანუ, კონკრეტული პასუხის გამცემი კონკრეტულ შემთხვევებზე უნდა არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ელექტრონული ფორმატი თავისთვის იქნება და პრობლემები მოუვარებელი დარჩება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბევრი რამის შესაბამისობაზე აქ საუბარი და ეს უნდა გადაწყდეს, რაც შეიძლება, მოკლე დროში, თუმცა ვერც იმაზე დავუჭავთ თვალს, რომ უნივერსიტეტის მატერიალური მდგომარეობა ბევრ რამეშია

ხელისშემშლელი. ამის გამო უნივერსიტეტი პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებს — იგივე ინფრასტრუქტურის მონესრიგებას, შენობების რემონტს და ა.შ.

— სტუდენტები ასევე აცხადებდნენ, რომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოთ ადმინისტრაციის რეორგანიზაცია. რა იგეგმება ამ თვალსაზრისით?

— მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ნაკლებად მეხება, ვიცი, რომ ადმინისტრაციის რეორგანიზაცია მომავალი წლისთვის უკვე დაგეგმილია. არ ვიცი, ეს რა ფორმით მოხდება, მაგრამ მუშაობა მიმდინარეობს ისეთი სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც გამოირიცხავს ამ პრობლემების არსებობას. ეს რამდენად მოხდება მხოლოდ ჩვენი ძალეებით, ესეც გასარკვევია, შესაძლებელია დახმარება და სხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებაც დაეჭვირდეს.

კიდევ ერთხელ გეტყვით იმას, რომ, ზოგადად, ამგვარი რეფორმირება აუცილებელია და ჩადებულიცაა უნივერსიტეტის უახლოეს გეგმებში, თუმცა ჯერ მიმდინარეობს მუშაობა და კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიგვიღია. პირადად ჩემი სამსახური ახლა ორიენტირებულია აკადემიური პერსონალისადმი მიზნობრივი მოთხოვნების და სამსახურში მიღების წესის შემუშავებაზე, რასაც, იმედია, წლის ბოლომდე დავასრულებთ.

მომზადდა
მაია ტორაძე

თსუ ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემაში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველად მოხვდა ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემაში. კერძოდ, მიმართულებების მიხედვით რანჟირებაში ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 187-ე ადგილზეა მსოფლიოს 248 უნივერსიტეტს შორის: <http://www.usnews.com/education/best-global-universities/physics?page=19>

საქართველოს უნივერსიტეტიდან თსუ ერთადერთია, რომლის პროფილი განთავსებულია ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემის ვებ-გვერდზე: <http://www.usnews.com/education/best-global-universities/ivane-javakishvili-tbilisi-state-university-528844>

ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემა, რომელმაც 2015 წლის

ოქტომბერში გამოაქვეყნა უნივერსიტეტების რანჟირების შედეგები, მიმართულებების მიხედვით რანჟირებისას ძირითადად ბიბლიომეტრიულ მონაცემებსა და ციტირების ინდექსს ეყრდნობოდა. მეთოდოლოგია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ლინკზე: <http://www.usnews.com/education/best-global-universities/articles/subject-rankings-methodology>

თსუ-თან ერთად მსოფლიოს 45 უნივერსიტეტი ვერ მოხვდა უნივერსიტეტების საერთო რანჟირებაში (750 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის), მაგრამ მოხვდა მიმართულების მიხედვით რანჟირებაში. ტომსონ როიტერი არის მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო წყარო, რომლის პროექტი „საერთაშორისო ინსტიტუციური პროფილი“ ქმნის მსოფლიოს კვლევითი ინსტიტუტების ზუსტ და ამომწურავ პროფილს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი — ბიბლიოთეკა თსუ-ში



თსუ-ში 21 ოქტომბერს გამართულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი — ბიბლიოთეკის პრეზენტაციაზე თსუ-ის ბიბლიოთეკის მამია და ქრისტინე ბერიშვილების საოჯახო არქივი გადაეცა.

საქართველოს ისტორიის ეს მოკლე მონაკვეთი გამორჩეულია იმით, რომ 117 წლის წინათ გაუქმებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ჩამოყალიბდა. 1919 წელს გაიმართა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების არჩევნებიც და მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც დღევანდელი გადსახედიდანაც კი ძალზედ პროგრესული სამართლებრივი აქტია. სამწუხაროდ, სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით დასრულდა და ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია დროებით დამარცხდა. საქართველოს მთავრობა და დაფუძნებული კრების წევრთა უმრავლესობა 1921 წელს საფრანგეთში წავიდა ემიგრაციაში.

ნლამდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს უცვლელი მდივანი იყო. იგი აგრეთვე გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის ერთ-ერთი მესვეური, მასვე ებარა ლევილში დაცული ემიგრანტული ქართული პრესისა და ლიტერატურის მეტად მდიდარი კოლექცია.

1996–1997 წლებში მამია ბერიშვილისა და მასთან ერთად საარქივო კომისიის წევრების — ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლების — კარლო ინასარიძის, გივი ზალდასტანიშვილის, გიორგი შარაშიძისა და გივი გაბლიანის დახმარებით, პარიზიდან და ჰარვარდიდან სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო არქივი.

19 წლის შემდეგ კი, საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველი ემიგრანტის მამია ბერიშვილის შვილმა, ტიერი ბერიშვილმა, რომელიც ფრანგულ-ქართული კულტურის ასოციაციას ხელმძღვანელობს, უნივერსიტეტს მამის პირადი არქივი და ბიბლიოთეკა გადასცა. აღნიშნული ფაქტი გახდა წინაპირობა, უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, წარმომადგენლობით საბჭოს მიერ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გასწილიყო ახალი განყოფილება — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა“, რომლის მიზანია საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის (1918-1921წწ.) კვლევა-აწარმოვანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შექმნილი საბიბლიოთეკო-საარქივო დოკუმენტების მოძიება, შენახვა, შესწავლა-დამუშავება, გამოფენების, პუბლიკაციებისა და გამოცემების მომზადება.

ლონისძიება უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოად-

გილე გიორგი შარვაშიძე, ქართველი ემიგრანტის შთამომავალი ტიერი ბერიშვილი მეუღლესთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„მამია ბერიშვილის შთამომავალმა გამოხატა მზაობა და უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადაეცა მნიშვნელოვანი საარქივო მასალები. ასეთი საჩუქრის მიღების შემდეგ, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ უნივერსიტეტში გაიხსნას კვლევითი ცენტრი, სადაც პროფესორებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებს შეეძლებათ ამ მასალების შესწავლა, რომლებიც შეიძლება გახდეს არაერთი საინტერესო კვლევის, დისერტაციის მომზადების შესანიშნავი წყარო“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა საზოგადოებას გაუმხილა, რომ მამია ბერიშვილის არქივის გადაცემის იდეა მის შთამომავალს — ტიერი ბერიშვილს თსუ-ის რექტორთან შეხვედრის შემდეგ გაუჩნდა და რომ სწორედ ლალო პაპავა იყო იმ უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, რომელსაც მამიის არქივის ნდობით გადასცემდა. თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ცენტრის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მჭიდრო თანამშრომლობას დაჰპირდა.

„დღეს შესანიშნავი თარიღია არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ საქართველოს ისტორიაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი არქივი გადაეცა, სადაც უნიკალური მასალები ინახება. იგი საშუალებას მისცემს ქართულ ისტორიოგრაფიას ბევრი რამ გადააფასოს უახლოეს წარსულზე და ახალი კუთხით დაგვანახოს. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტსა და ფრანგულ-ქართული კულტურის ასოციაცია „გაუმარჯოს საქართველოს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც უფრო გააქტიურდება მხარეების თანამშრომლობა“, — აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძემ.

დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გელა დუმბაძის თქმით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი მასალებით გამდიდრდა. ასევე გაიხსნა პირველი რესპუბლიკის პერიოდის შემსწავლელი ცენტრი, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს უკეთ გაერკვნენ დამოუკიდებლობის წლებში. „ეს არის დიდი

მემკვიდრეობა წიგნების, რუკების და იმ მიმონერების, რომელიც შესასწავლია და იგი ბევრი სტუდენტის დაინტერესების საგანი გახდება“, — განაცხადა გელა დუმბაძემ.


თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის არქივის გამოცემა ასე შეაფასა: „ეს არის პროცესი, როცა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი იდეები უნივერსიტეტში ბრუნდება. საქართველოს ისტორიის მანძილზე, არავინ ისე არ ზრუნავდა უნივერსიტეტზე, როგორც მაშინდელი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელიც არც ფინანსებს, არც მატერიალურ რესურსებს და არც ქონებას არ ზოგავდა მის გასაძლიერებად. ამ უნივერსიტეტის დამფუძნებლები პირველი დემოკრატიული ქვეყნის დამფუძნებლებიც იყვნენ.“

ის, რომ უნივერსიტეტში დღესაც მსჯელობენ პირველ რესპუბლიკაზე, ეს თსუ-ის გამორჩეული პროფესორების: დიმიტრი შველიძის, მალხაზ მაცაბერიძის, ოთარ ჯანელიძის და დოქტორანტის ბექა კობახიძის დამსახურებაა. ასე რომ, ჩვენ შევისწავლით საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რათა მისი

გამოცდილება ახალი რესპუბლიკის შესაქმნელად გამოვიყენოთ. ამის საჭიროება კი ნამდვილად არსებობს“, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

ფრანგულ-ქართული კულტურის ასოციაციას ხელმძღვანელმა ტიერი ბერიშვილმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორს ვლადიმერ პაპავას არქივის უნივერსიტეტში განთავსებისთვის. „ეს იყო მამაჩემის, მამია ბერიშვილის არქივი, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უცხოეთის ბიუროს წარმომადგენელი და ამ არქივების მცველი იყო. სწორედ მისი სურვილი გახლდათ, მასალები საქართველოსთვის დამეზრუნებინა. მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტში შეიქმნება კუთხე, სადაც ეს არქივი იქნება განთავსებული“, — განაცხადა ტიერი ბერიშვილმა და სურვილი გამოთქვა, რომ საფრანგეთში დარჩენილი არქივის ნაწილიც თსუ-ს გადმოეცეს. მან ასევე მადლობა გადაუხადა დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გელა დუმბაძეს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ლევილის შატოს საქართველოსთვის გადმოცემის საკითხებზე წარმოებულ მოლაპარაკებებში.

მომზადდა
თამარ დალიანაძე



ნიკო ჯავახიშვილის ნიშნის პრეზენტაცია და პოლონეთის უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნიკოლოზ (ნიკო) ჯავახიშვილის მონოგრაფია „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც ოთხი წლის წინათ ქართულ ენაზე გამოცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ, მიმდინარე წელს ლატვიურ და რუსულ ენებზე გამოიცა. სულ ცოტა ხნის წინ მონოგრაფიის რუსული და ლატვიური თარგმანის პრეზენტაცია შედგა როგორც ლატვიაში, ასევე პოლონეთში. გათვალისწინებული პროფესორ ნიკოლოზ ჯავახიშვილთან.

— ბატონო ნიკოლოზ, გასული წლის 30 სექტემბერს ჩვენს გაზეთში (№ 11) გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ თქვენთან, სადაც ისაუბრეთ — თუ როგორ დაინყეთ ურთიერთობა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან და რატომ გადაწყვიტეთ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის შესწავლა. ამჯერად გთხოვთ, მოკლედ მოგვითხროთ თქვენი მონოგრაფიის ლატვიურ და რუსულენოვანი გამოცემების, მათი რედაქტორისა და რეცენზენტების შესახებ.

— უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც მეცნიერულად ვიკვლევ საქართველოს ურთიერთობებს მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოებთან და, მათ შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან — ლიტვასთან, ლატვიასთან და ესტონეთთან. ამ საკითხების შესწავლას მივუძღვენი მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და მათ შორის, არაერთი მონოგრაფია.

მას შემდეგ, რაც თსუ-ის გამომცემლობამ წინააღმდეგობა გაუწია ჩემი მონოგრაფია ქართულ-ბალტიური ურთიერთობის შესახებ, აუცილებელი გახდა მისი გამოცემა უცხოურ ენებზეც. ლატვიის კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, ლატვიურად ითარგმნა ჩემი მონოგრაფია, რომელიც ამა წლის ზაფხულში რიგაში წიგნად გამოიცა. ამის პარალელურად, ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა ნაშრომის რუსულ ვერსიაზე, რომელიც წინააღმდეგობა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიისა და ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ლატვიის ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით. მათი რედაქტორია გამოჩენილი მეცნიერი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარე, აკადემიკოსი იანის სტრადინი, რომელსაც 1998-2004 წლებში ეკავა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა. წიგნის რეცენზენტები არიან ცნობილი ბალტიისპირელი მეცნიერები, კერძოდ, ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ლატვიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გუნტის ზემიტისი; ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, დოქტორი ვენტა კოცერე, ლატვიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რიმატას მიკისი, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რიმი-დის პეტრაუსკასი და ტალინის უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, აკადემიკოსი რაიმო პულატი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ესტონეთის ისტორიის ინსტიტუტს.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ზემოხსენებულ მეცნიერებს გულწრფელად უყვართ საქართველო და სისტემატურადაც სტუმრობენ ჩვენს ქვეყანას. ორი მათგანი კი ჩვენი ქვეყნისა და ქართული მეცნიერების წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოებულიც არის. კერძოდ, აკადემიკოსი იანის სტრადინი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი

წევრი (აირჩიეს 2002 წელს) და ივანე ჯავახიშვილის მედიის კავალერი, ხოლო ქალბატონი ვენტა კოცერე დაჯილდოებულია ჩვენი ქვეყნის ღირსების ორდენით. 16 აპრილს მას ეს საპატიო ჯილდო პირადად გადასცა ლატვიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

— რას გეტყვით თქვენი ზემოხსენებული მონოგრაფიის სამეცნიერო გამოცემის პრეზენტაციების შესახებ, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში გაიმართა ლატვიაში, ლიტვასა და პოლონეთში.

— ნაშრომის ქართულენოვანი გამოცემის პრეზენტაციები 2013 წელს შედგა ლატვიასა და ლიტვაში, კერძოდ, ამ ქვეყნების დედაქალაქებში მდებარე მთავარ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ასევე ისტორიის ინსტიტუტებსა და ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმში. ამის თაობაზე ინფორმაცია და სამეცნიერო რეცენზიები გამოქვეყნდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

წიგნის ლატვიურენოვანი გამოცემის პრეზენტაცია შედგა ამა წლის 10 სექტემბერს, რიგაში, ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდებარე „დიდი გილდიის“ შენობაში. შუა საუკუნეებში აშენებული ეს ნაგებობა დღესაც ხიზლავს მნახველს თავისი გრანდიოზულობით.

მონოგრაფიის რუსულენოვანი გამოცემის პრეზენტაციები შედგა ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში. კერძოდ, პირველი პრეზენტაცია გაიმართა რიგაში, ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ ბიბლიოთეკაში, ხოლო მეორე — პოლონეთში, ოლოზინის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პოლონელი მეცნიერების დაინტერესება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩემს მონოგრაფიაში განხილული საკითხების გარკვეული ნაწილი ეხება იმ პერიოდს, როდესაც ლიტვა და პოლონეთი მოქცეულნი იყვნენ ერთიანი, დიდი სახელმწიფოს — რეჩპოსპოლიტას შემადგენლობაში.

— 2009-2014 წლების განმავლობაში თქვენ მიერ განუხლები სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის საუკეთესო შედეგებად იქცა ის ფაქტი, რომ გასულ წელს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატმა მოგანიჭათ საპატიო დოქტორის წოდება ისტორიის დარგში (Doctor Honoris causa in history), რის შესახებაც შარშან ვიხსენებოდი. ამჯერად როგორ შეაფასებთ თქვენი ნაშრომის ლატვიურ და რუსულენოვანი გამოცემები ბალტიისპირელმა მეცნიერებმა?

— ამ პრეზენტაციების თაობაზე ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ოიარს სპარიტისმა თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასადმი გამოგზავნილ წერილებში ისაუბრა. მასში ნათქვამია: «По оценке лучших представителей академических кругов Латвии вышеупомянутая монография — „настолярная книга“, которая «представляет собой большую энциклопедическую ценность».



ქართულ-ლატვიური ურთიერთობის შესახებ მონოგრაფიის გამოცემა ასევე დადებითად შეაფასა ლატვიის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვიქტორ კალნბერმა. იგი წერს: „С огромным интересом ознакомился с ее содержанием. Изданная Вами книга представляет собой труд большого исторического значения. Вам удалось представить события, связанные с грузино-балтийскими отношениями“.

ასევე დადებითად ეხმაურებიან ამ წიგნის გამოსვლას ლატვიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გუნტის ზემიტისი, ლიტვის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რიმატას მიკისი და ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რიმი-დის პეტრაუსკასი.

რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, წიგნის გამოსვლით დიდი კმაყოფილება გამოთქვა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რაულ ჩილაჩავამ, რომელიც 2006-2010 წლებში ლატვიაში მსახურობდა უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში.

აქვე მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, რომელიც ჩემი სამეცნიერო საქმიანობის მიმართ მაქსიმალურ თანადგომას იჩენს. მოვიყვან ამონარიდს ბატონი ლადოს მიერ დაწერილი წინასიტყვაობიდან, რომელიც წინ უძღვის ჩემს მონოგრაფიას: „Доктор исторических наук профессор Тбилисского государственного университета Николай (Нико) Джавахишвили является представителем нового поколения грузинских историков. Несмотря на относительно молодой возраст (ему всего лишь 42 года), он уже является известным историком, автором многих капитальных исследований по истории Грузии, Кавказа и взаимоотношений Грузии с разными странами, некоторые из коих опубликованы за рубежом.“

Недавно же автор стал самым молодым почетным доктором Латвийской Академии наук, что является одним из позитивных фактов в истории традиционно дружеских взаимоотношений между нашими странами.

Я рад, что профессор нашего университета стал своеобразным мостом между академическими кругами Грузии и стран Балтии — Латвии, Литвы и Эстонии. Это он заслужил долгим и действительно кропотливым трудом“.

— ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ კაუნასში მდებარე „ლიტვის დიდი სამთავროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა“ (დირექტორი — პროფესორი რუსტის კამუნტაჩიუსი) ავირჩიათ თავისი სამეცნიერო საბჭოს წევრად. როგორ აღიქვამთ ამას და საერთოდ ბალტიურ მეცნიერთა ასეთ ყურადღებას თქვენი საქმიანობისადმი?

— ბალტიელი კოლეგები ამით გამოხატავენ თავიანთ თანადგომას ჩემი ექვსწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ, რაც მივუძღვენი ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის კვლევას და მისი შედეგების პოპულარიზაციას სა-მეცნიერო პუბლიკაციებითა და სალექციო კურსების კითხვით ბალტიისპირეთის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში. ყოველივე ეს, რაც ჩემთვის ფრიად სასიხარულოა, იმავდროულად, უდიდეს პასუხისმგებლობასაც მაქონებს ევროპის ამ უმშვენიერესი სახელმწიფოების წინაშე. მეც მაქსიმალურად ცდილობ, რომ გაავამართლო მათი ნდობა.

— უკანასკნელი წლების განმავლობაში თქვენ სისტემატურად გინვევენ საზღვარგარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სალექციო კურსების ნასაკითხად. წლეულს ბალტიისპირეთის რომელ უნივერსიტეტებში წაიკითხეთ ლექციები და რა თემებზე?

— ნავიკითხე სალექციო კურსები ლიტვისა და ლატვიის მთავარ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ვილნიუსსა და რიგაში. საერთოდ, ყოველთვის ვცდილობ, რომ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების წარმოჩენის პარალელურად, ბალტიელ სტუდენტებს გავაცნო ჩვენი სამშობლო, თავისი უძველესი და უმდიდრესი კულტურითა და ისტორიული წარსულით.

— რა პერსპექტივები გაქვთ მომავალში თქვენი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის განვითარებისთვის (ლექციები, ურთიერთობები, ერთობლივი სამეცნიერო პროექტები) ბალტიისპირეთსა და პოლონეთში?

— ბოლო წვიდი წლის განმავლობაში ყოველწლიურად რამდენჯერმე მიწვევს ჩასვლა ზემოხსენებულ ქვეყნებში, ხან ლექციების ნასაკითხად, ხან კი სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. ამ ხნის განმავლობაში გავიცანი ადგილობრივი ისტორიკოსები, ხოლო ნაწილობრივ — მეცნიერების სხვა დარგების სპეციალისტებიც. მათთან მაკავშირებს ინტენსიური ურთიერთობა, რაც უკვე მჭიდრო თანამშრომლობასა და მეგობრობაში გადაიზარდა. ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს განვახორციელოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც ერთობლივად შევიმუშავებთ.



იოსებ ყიფშიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ლონისძიების ფარგლებში წიგნის — „თხზულებანი“ — პრეზენტაცია გაიმართა



მისი თქმით, იყო პერიოდი, როდესაც საზოგადოებამ და უნივერსიტეტმა ცოტა მივიწყა ამაგდარი მოღვაწე. „2003 წელს ქართული ენის კათედრამ აღძრა შუამდგომლობა იოსებ ყიფშიძის 120 წლისთავის გადახდის თაობაზე. მაშინდელი რექტორის, როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, დაიგეგმა ღონისძიებები, მათ შორის მისი ნეშტის გადმოსვენება, მაგრამ, სამწუხაროდ, 2004 წლიდან უნივერსიტეტში სიტუაცია შეიცვალა. ახალმა რექტორმა რუსუდან ლორთქიფანიძემ 2005 წელს გამოსცა ბრძანება საიუბილეო ღონისძიებების განხორციელების შესახებ, თუმცა, ვერც ეს პროექტი განხორციელდა. თსუ-ის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ დაგეგმილი ღონისძიებები ჩაიშალა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ლადო პაპავას ხელშეწყობით, დღეს ჩვენ ვიხსენებთ ამ დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ისე, როგორც მას ეკადრება“, — განაცხადა გიორგი გოგოლაშვილმა.

თა ეროვნულ ცენტრს, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს და მოსე თოიძის სახლ-მუზეუმს. „ეს სიძველეები უნივერსიტეტის წარსულს, მის პირველ დღეებს უკავშირდება. იოსებ ყიფშიძის ახალი კრებულის გამოცემა და მისი მკითხველამდე მიტანა მართლაც საშვილიშვილო საქმეა, ეს ტექსტები დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ მეცნიერულ მნიშვნელობას და დაინტერესებს ყველა იმ ენათმეცნიერს, რომლებიც იმ საკითხებზე მუშაობენ. მნიშვნელოვანია იოსებ ყიფშიძის ღვაწლის გაცნობა მომავალი თაობებისთვისაც“, — აღნიშნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იოსებ ყიფშიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში წიგნის — „თხზულებანი“ პრეზენტაცია და გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იოსებ ყიფშიძის ბიოგრაფიული-სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი და უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული უცნობი ხელნაწერები და ფოტო-მასალა. წიგნი — „თხზულებანი“ თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ბრძანების, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის პროფესორ იოსებ ყიფშიძის სახელის უკვდავსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საფუძველზე გამოიცა. ამავე ბრძანების შესაბამისად განხორციელდა: დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან პროფესორ იოსებ ყიფშიძის ნეშტის გადმოსვენება, მემორიალური კუთხის მოწყობა, საფლავზე ძეგლის დადგმა და იოსებ ყიფშიძის გარდაცვალებიდან 95-ე წლისთავის აღსანიშნავად სამეცნიერო კონფერენციის გამართვა.

„დღეს უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა თავის წარსულს, რადგან იოსებ ყიფშიძის სახელი დაკავშირებულია უნივერსიტეტის დაარსებასთან, რომელიც, სამწუხაროდ, არ მიეკუთვნება იმ დამაარსებელთა რიცხვს, რომელთა სახელიც საქართველოში კარგად არის ცნობილი. ამიტომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მისი ღვაწლი წარმოგვეჩინა. იგი იყო პირველი სწავლული მდივანი, რომელსაც დიდი ჯაფა დაადგა, როდესაც უნივერსიტეტი იქმნებოდა. სამწუხაროდ, იგი სულ ახალგაზრდა ნაწიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკმაოდ მდიდარი და საინტერესო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ჩვენ მოვახერხეთ და მისი ნეშტი გადმოვასვენეთ უნივერსიტეტის პანთეონში, ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა მისი წიგნი, რომელიც ყველაზე დიდი ძეგლია. ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ, გაეცნონ

ამ ნიჭიერ მკვლევარს. იოსებ ყიფშიძის გახსენებით ჩვენ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს უნივერსიტეტის გახსნის ისტორიას“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

იოსებ ყიფშიძისადმი დაგეგმილი გამოფენა თსუ-ის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბაიძემ გახსნა, საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ექსპოზიცია და მეცნიერის ბიოგრაფია საზოგადოებას თსუ-ის მუზეუმის თანამშრომელმა მანანა ლილუაშვილმა გააცნო. მისი ინფორმაციით, იოსებ ყიფშიძის მნიშვნელოვანი კვლევები ქართველურ ენებს, მათ აგებულებასა და ისტორიის საკითხებს ეხებოდა. „ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული არქივის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და თსუ-ის მუზეუმის ფონდებში დაცული დოკუმენტები. გამოფენა მიეძღვნა უნივერსიტეტის ერთერთ პირველ დამაარსებელს, ნიშნად მადლიერებისა“, — აღნიშნა მანანა ლილუაშვილმა.

„იოსებ ყიფშიძის ღვაწლის შესახებ არაერთგზის ითქვა, თუმცა, რომ შეიძლება ბოდეს აინონოს მისი ღვაწლი, როგორც მეცნიერისა, და, მეორე მხრივ, როგორც მოღვაწისა, შედეგი თანაბარი იქნება. იოსებ ყიფშიძე იყო ჭეშმარიტად დიდი მოღვაწე და დიდი მეცნიერი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ იოსებ ყიფშიძე იყო მარჯვენა ხელი იმ დიდ ეროვნულ საქმეში, როგორც უნივერსიტეტის დაარსება. 1919 წელს 35 წლის მეცნიერი განსაკუთრებულად დაიტირა ქართულმა საზოგადოებამ. „შენში ჩვენს უნივერსიტეტს ვგლოვობთ“, — ამ სიტყვებით მიმართა მას ექვთიმე თაყაიშვილმა, და ამ სიტყვებით გაიხსენა იოსებ ყიფშიძე თსუ-ის პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ იოსებ ყიფშიძე იყო მარჯვენა ხელი იმ დიდ ეროვნულ საქმეში, როგორც საზოგადოებას. „შენში ჩვენს უნივერსიტეტს ვგლოვობთ“, — ამ სიტყვებით მიმართა მას ექვთიმე თაყაიშვილმა და ამ სიტყვებით გაიხსენა იოსებ ყიფშიძე თსუ-ის პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.

თა ეროვნულ ცენტრს, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს და მოსე თოიძის სახლ-მუზეუმს. „ეს სიძველეები უნივერსიტეტის წარსულს, მის პირველ დღეებს უკავშირდება. იოსებ ყიფშიძის ახალი კრებულის გამოცემა და მისი მკითხველამდე მიტანა მართლაც საშვილიშვილო საქმეა, ეს ტექსტები დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ მეცნიერულ მნიშვნელობას და დაინტერესებს ყველა იმ ენათმეცნიერს, რომლებიც იმ საკითხებზე მუშაობენ. მნიშვნელოვანია იოსებ ყიფშიძის ღვაწლის გაცნობა მომავალი თაობებისთვისაც“, — აღნიშნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

მოამზადა შურთისია ბეროშვილმა



უახლესი კვლევები ალბათობის თეორიასა და სტატისტიკაში

ნათო მობლაქა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია ალბათობის თეორიასა და სტატისტიკაში 7 სექტემბერს გაიხსნა. სამეცნიერო ღონისძიებას მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი მრავალი მეცნიერი დაესწრო, რომლებმაც თავიანთი უახლესი კვლევების შედეგები წარმოადგინეს. ორგანიზატორების ინფორმაციით, თბილისში აღნიშნულ დარგში საერთაშორისო კონფერენცია მეოთხედ ტარდება, თუმცა ალბათობის თეორიას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს და სათავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან იღებს, როდესაც ამ დარგში ლექციებს პროფესორი ანდრია რაზმაძე კითხულობდა. შემდეგ ალბათობის თეორიის სწავლება-კვლევა განავითარა პროფესორმა ამირან ტორიჯაძემ, გვანჯი მანიაშვილმა, ნიკოლოზ ვახანიამ, რევაზ ჩიტაშვილმა და სხვებმა.

ჩვენთვის დიდი პატივია ასეთი დონის წარმომადგენლებითი საერთაშორისო კონფერენციის მასპინძლობა. ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის სწავლების ტრადიცია საქართველოში დაკავშირებულია უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, პროფ. ანდრია რაზმაძის სახელთან. ჩვენს უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ამ დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის დამფუძნებელი და გამგე, პროფესორი გვანჯი მანია და შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგე, პროფესორი ნიკოლოზ ვახანი. ჩემთვის დიდი პატივია, რომ პროფ. გვანჯი მანია ჩემი პედაგოგი იყო, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

საქართველოში ალბათობისა და სტატისტიკის განვითარებას აგრეთვე ღრმა კვალი დააჩნია პროფ. რევაზ ჩიტაშვილმა როგორც წმინდა მათემატიკური გამოკვლევებით, ისე გამოყენებითი ხასიათის კვლევებითაც. ამჟამად, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრას წარმატებით ხელმძღვანელობს პროფ. ელიზბარ ნადარაია. აქვე ფუნქციონირებს ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა პროფ. სიმონ გელაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფ. ფილიპე გოგიანიშვილის დაფუძნებულია.



„იმავდროულად, ქართული ალბათურ-სტატისტიკური სკოლის ბევრი წარმომადგენელი წარმატებით მოღვაწეობს მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. განსაკუთრებული მადლიერების გრძობა მინდა გამოვხატო ახალი ზელანდიის ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის პროფესორ ესტატი ხმალაძის მიმართ, რომელიც ამ კონფერენციის გამართვის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, — განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

საერთაშორისო კონფერენციაზე „ალბათობის თეორიისა და სტატისტიკაში“ მონაწილე უცხოელი მკვლევრები, ძირითადად, პროფესორ ესტატი ხმალაძის პირადი მოწვევით ჩამოვიდნენ. იმავდროულად, პროფესორი ესტატი ხმალაძე კონფერენციას ესწრებოდა როგორც ახალი ზელანდიის ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ღონისძიების გახსნაზე თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მას საზეიმო ვითარებაში გააძვირა და მისი წარმატებისა და კვალიერების შესახებ მიმართა.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა კონფერენციის თითოეულ მონაწილესთან შეხვედრა.

მობარული ვარ, რომ ამდენმა სპეციალისტმა მოიყარა თავი. აქ ყველას ექნება საშუალება გამოვიდეს სიტყვით და დააფიქსიროს საკუთარი აზრი, — აღნიშნა პროფესორმა ესტატი ხმალაძემ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინა 25-მა უცხოელმა სპეციალისტმა (პირველი მოხსენებლის პატივი ერგო პროფ. ვინფრიდ შტუტეს გისენის უნივერსიტეტიდან) და უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა, რომელთა შორის არიან პროფ. ესტატი ხმალაძე (ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტი, ახალი ზელანდია), რობერტ მნაცაკანაოვი (დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტი, აშშ), შოთა გუგუშვილი (ლეიფენის უნივერსიტეტი, შოტლანდია), საქართველოს მხრიდან პროფ. ვაჟა ტარიელაძემ, მალხაზ შაშიაშვილმა (ერთობლივი ბ. დოჭვირთან და ო. ფურთუხიასთან), გრიგოლ სოხაძემ (ერთობლივი ე. ნადარაიასთან და პ. ბაბილუასთან), მიხეილ მანიაშვილმა (ერთობლივი რ. თევზაძესთან), ბადრი მამფორიამ.

„საქართველოში ასეთი დონის საერთაშორისო კონფერენციის გამართვა, უპირველესად, ქართული ალბათურ-სტატისტიკური სკოლის აღიარებას ნიშნავს. ასევე, ხელს უწყობს, დარგის პოპულარიზაციას. კონფერენციის ესწრებიან ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები. მოხსენებების ნაწილი მიქცევა უკვე გადაჭრილ პრობლემებს, ნაწილი — გადაუჭრელს, ნაწილიც გარკვეული საკითხების მიმოხილვას ითვალისწინებდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო დაწესებულება არ არის, იგი გახლავთ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და ჩვენი რეიტინგი, რომ ნელ-ნელა იზრდება, სწორედ, ასეთი დონის სამეცნიერო ფორუმების დამსახურებაა. მოხსენება, რომელიც პროფესორ მალხაზ შაშიაშვილთან და ბესარიონ დოჭვირთან ერთად წარმოვადგინეთ, შეეხებოდა თანამედროვე სტოქასტური ფინანსური მათემატიკის პრობლემატიკას. ეს საკმაოდ აქტუალური მიმართულებაა, — განაცხადა საერთაშორისო კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ომარ ფურთუხიამ.



კონფერენციას „ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის“ შესახებ ორგანიზება თსუ-ის ზუსტ და საზღვრებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა და საქართველოს სტატისტიკურმა ასოციაციამ გაუწია. ორგანიზატორები წარმოდგენილი მოხსენებების კრებულად გამოცემას გეგმავენ. ასევე, აპირებენ, რომ სამეცნიერო ღონისძიებამ ტრადიციული ხასიათი მიიღოს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობის შემთხვევაში 4 წელიწადში ერთხელ გაიმართოს.


საჯარო განხილვა

თამარ ღალიანი

საბაზრო ეკონომიკური რეფორმების გატარების დაწყებიდან ორ ათწლეულზე მეტის გასვლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დასრულდა. იმავდროულად, ისიც აშკარაა, რომ საქართველოში შექმნილი საბაზრო ეკონომიკა, სამსუხაროდ, შორსაა დასავლური და, კერძოდ, ევროპული სტანდარტებისგან. თუ აღმოსავლეთ ევროპამ და ბალტიის ქვეყნებმა იმდენად წარმატებით ჩაატარეს ეკონომიკური რეფორმები, რომ დღეს ევროკავშირის წევრები არიან, საქართველო შედის იმ „აუტსაიდერ“ პოსტკომუნისტურ ქვეყნების ჯგუფში, რომელთაც ევროპული ტიპის კაპიტალიზმის ნაცვლად ე.წ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი შექმნეს, — ასეთი მოსაზრებას გამოთქვამს თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა თავის ახალ წიგნში: „საქართველოს ეკონომიკა — რეფორმები და ფსევდორეფორმები“, რომლის საჯარო განხილვაც გაიმართა 16 ოქტომბერს, თსუ-ის მაღალი კორპუსში.

დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები საქართველოსთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა. თუმცა, გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რეფორმები, ხშირ შემთხვევაში, არათანმიმდევრულად და სპონტანურად ხორციელდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში არაერთხელ გატარდა რეფორმებად მონათლული ცვლილებები, რომლებმაც ქვეყანას არათუ სიკეთე მოუტანა, პირიქით, საზიანოც კი აღმოჩნდა.

„სამსუხაროდ, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ნამდვილი რეფორმის ნაცვლად, რეფორმატორის იმიჯის მოსაპოვებლად ან შესაბამისად, ესა თუ ის მთავრობა რეფორმის იმიტაციას ახორციელებს. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა ადვილი არ იყოს რეფორმის გამორჩევა ფსევდორეფორმისგან, — აცხადებს ლადო პაპავა და წინამდებარე წიგნში იმ ეკონომიკური რეფორმების არსს განიხილავს, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე განხორციელდა. მასში ასევე გააანალიზებულია



საქართველოს ეკონომიკის რეფორმების როგორც მიღწევები, ისე ამ პროცესში დაშვებული შეცდომებიც. გამოკვეთილია უახლოეს მომავალში საქართველოში გასატარებელი ეკონომიკური რეფორმების მაგისტრალური გზა.

ამ საკითხების კვლევა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში უფრო გააქტიურდა და არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიქცენა, მაგრამ ვლადიმერ პაპავას ახალი წიგნი ყველასგან გამოჩნდეს, საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლავთ. რეფორმების განხილვა და შეფასება მკითხველისთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ავტორი არა მარტო ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია, არამედ 1994-2000 წლებში თავადაც იყო ქვეყნის მთავრობის ეკონომიკური გუნდის ერთ-ერთი ლიდერი — საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ხოლო 2004-2008 წლებში — საქართველოს პარლამენტის წევრი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული განწყვეტილებების მიღების პროცესში. მკითხველს საშუალება ეძლევა დღევანდელი გადასახედიდან გაიანალიზოს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და საქართველოს

ეკონომიკის ტრანსფორმაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე.

წიგნის საჯარო განხილვაზე ქართული ეკონომიკური საზოგადოება, უნივერსიტეტის პროფესორი და სტუდენტები შეიკრიბნენ. მოხსენებით გამოვიდნენ პროფესორები: ელგუჯა მექვაბიძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, დოქტორანტი ცოტნე ჟღენტი და აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე.

მოხსენებლებმა დეტალურად გააანალიზეს და შეაფასეს წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობა, საზოგადოებას დადებითი მხარეებს და გარკვეულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებები გამოხატეს.

„საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები“ არის თეორიულ-ისტორიული ხასიათის ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საფუძვლების შესახებ, მონოგრაფია შეიქმნა ეკონომიკური დინამიკის მეთოდოლოგიის საფუძველზე, მასში გააანალიზებულია სისტემის ჩამოყალიბების პროცესი.

„კიდევ ერთი ხაზგასასმელი ღირსება წიგნისა ის არის, რომ განხილული ეკონომიკური პროცესები სხვა წყაროებიდან კი არ არის ამოკითხული, არამედ ამ მოვლენების უშუალო მონაწილის მიერ არის გააზრებული... ის მარტო მონაწილე კი არ გახლავთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, არამედ იგი მთელი რიგი მოვლენების უშუალო ინიციატორი და არქიტექტორი იყო“, — აღნიშნა პროფესორმა ელგუჯა მექვაბიძემ. მან ასევე უსრულდა გაამახვილა ქვეყანაზე: „რეფორმები და ფსევდორეფორმები“, სადაც მონოგრაფიის მთავარი მიმართულება და ლიტერატურა გამოტანილია.

მან ასევე დაწვრილებით ისაუბრა ნაშრომში მოყვანილ საინტერესო ხედვაზე, კერძოდ ეკონომიკური რეფორმის ორ გზაზე: ე.წ. შოკური თერაპია და განვითარების გრადუალისტური მიმართულება, და ამ ორი გზის გარკვეული დაახლოების შესაძლებლობა.

როგორც ელგუჯა მექვაბიძე აღნიშნა, ავტორს დასრულებულად მიაჩნია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, თუმცა, ავტორის აზრით, აქ შექმნილი საბაზრო ეკონომიკა შორსაა ევროპული სტანდარტებისგან, და მას „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის“ უწოდებს. ამ ტერმინის დამკვიდრებას სამეცნიერო ლიტერატურაში ელგუჯა მექვაბიძე უწოდებს. ამ ტერმინის დამკვიდრებას სამეცნიერო ლიტერატურაში ელგუჯა მექვაბიძე უწოდებს. ამ ტერმინის დამკვიდრებას სამეცნიერო ლიტერატურაში ელგუჯა მექვაბიძე უწოდებს. ამ ტერმინის დამკვიდრებას სამეცნიერო ლიტერატურაში ელგუჯა მექვაბიძე უწოდებს.

მოხსენებელმა ცალკე აღნიშნის ღირსად ჩათვალა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოსთან ურთიერთთანამშრომლობის დროს დაშვებული შეცდომები: „ეს საკითხები განხილულია ობიექტურად, პრინციპულად, შელამაზების გარეშე“, — განაცხადა ელგუჯა მექვაბიძემ.

მან ასევე მალაილ შეფასება მისცა წიგნში განხილულ სხვა ეკონომიკურ საკითხებსა და აღნიშნა: „ნებისმიერი მკვლევარი, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე იმუშავებს, ამ წიგნს გვერდს ვერ აუფლის. ეს არის სამაგიდო წიგნი, სადაც აღწერილია საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ყველაზე უფრო რთული და მნიშვნელოვანი ეტაპი. წიგნი მნიშვნელოვანია, რადგან იგი ჩვენი ქვეყნის განვითარების გარკვეული პერიოდის ობიექტურ და შეუღამაზებელ ისტორიას გადმოგვცემს.“

პროფესორი იური ანანიაშვილი თავისებურების სამ მომენტს გამოყოფს: „პირველი — წიგნი თავიდან ბოლომდე საქართველოს ეკონომიკას ეხება და მასში ნაკლებადაა მიმოხილული სხვა ქვეყნების ეკონომიკური საკითხები, რაც ავტორის სტილისთვის ნაკლებად დამახასიათებელია. მეორე — იგი განკუთვნილია ფართო მასშტაბის მკითხველისთვის და იმდენად გასაგებად არის დაწერილი, რომ თავისუფლად შეიძლება აღიქვას არა მარტო ეკონომისტმა, არამედ იმ ადამიანმაც, რომელსაც ეკონომიკური განათლება საერთოდ არ გააჩნია. მესამე თავისებურება ის გახლავთ, რომ ბატონი ლადო წარმოგვიდგება არა მარტო ეკონომიკურ პრობლემებზე მოაზროვნე მეცნიერად, არამედ პოლიტიკოსის როლშიც, რომელმაც თავისი სწავლილი შეიტანა საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროცესში და დღესაც თვალყურს ადევნებს როგორც ეკონომიკურ პროცესებს, ასევე ამ პროცესებთან დაკავშირებულ სამთავრობო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს“, — აღნიშნა მან.

იური ანანიაშვილმა 10 თავში განხილული საკითხები 4 მიმართულებით დააჯგუფა: 1. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე გატარებული ეკონომიკური რეფორმების ხასიათი და თავისებურებანი; 2. საქართველოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ურთიერთთანამშრომლობის დახასიათება; 3. საქართვე-

ახალი სახელმძღვანელო — „რელიგიის ფილოსოფია“

შურთსია ბაროშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართული მკვლევარების სტუდენტებს წელს პირველად მიეცემა საშუალება რელიგიის ფილოსოფიის კურსის უკვე ახალი სახელმძღვანელოს საშუალებით შეისწავლონ.



სახელმძღვანელო 9 თავისგან შედგება: რელიგიის გააზრებისა და გადაზრების გზები, რელიგია ფილოსოფიის ფოკუსში, გონების მტკიცებულება, ონტოლოგიური მტკიცებულება, მორალური მტკიცებულება, გამოცდილებაზე დამყარებული მტკიცებულება, რელიგიური ენა და რელიგიების ისტორიის ფილოსოფია. როგორც სახელმძღვანელოს ავტორები ნიგნის შესავალში განმარტავენ, რელიგიის ფილოსოფიის შესწავლის საგანია ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობა. ამ საკითხზე საუკუნეების განმავლობაში კამათობდნენ ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები და მეცნიერები.

ფილოსოფოსების კვლევის საგანი ძირითადად ის იყო, თუ რამდენად არის შესაძლებელი ღმერთის არსებობის დასაბუთება.

სახელმძღვანელოს ავტორთა ინფორმაციით, ნიგნში ვერ ვნახავთ ერთმნიშვნელოვან პასუხებს რელიგიის ფილოსოფიის საკითხებზე და მკითხველს შეუძლია თვითონ გამოიტანოს დასკვნები: სახელმძღვანელოში დეტალურად არის განმარტებული, რა არის რელიგიური ფილოსოფია, როგორი უნდა იყოს რელიგიური ადამიანის მიმართება კულტურასთან? როგორია რელიგიის მიმართება პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და სხვა. სახელმძღვანელოს თანახმად სახელთა საძიებელი და ბიბლიოგრაფია, რომლის დახმარებით სტუდენტებს გაუადვილებათ საჭირო ლიტერატურის მოძიება.

ახლად შექმნილი სახელმძღვანელოს ავტორები არიან: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სახელმძღვანელო ფილოსოფიისა და თეოლოგიის სახელმძღვანელო ცენტრის ხელმძღვანელი, კონსტანცა „ოვიდიუსის“ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ანასტასია ზაქარაძე, ასევე თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,

თსუ-ის საპატიო დოქტორი, რუმინეთის აკადემიის 3 მონოლითური რელიგიის (ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის) კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლაე ლურა და თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი ბრაჭულა.

„საბჭოთა პერიოდში ამ საგნის სწავლება აკრძალული იყო, რელიგიის ფილოსოფია ცრუ მეცნიერებად იყო მიჩნეული და საერთადაც, ამ თემას ტაბუ ედო, შესაბამისად, ამ სფეროში კვლევებიც არ ხორციელდებოდა. მას შემდეგ, რაც ეს კურსი იკითხება უნივერსიტეტში, სახელმძღვანელოს გამოცემის საშუალება არ გვექონდა. სახელმძღვანელო ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს საშუალებით სწავლება ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, ამიტომ სახელმძღვანელოების მშობლიურ ენაზე გამოცემა საშუალებული საკმარისია. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით ავტორთა ჯგუფი კვლევას კვლავაც გააგრძელებს, დაგეგმილია ვრცელი მონოგრაფიის შექმნა, რომელიც ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოიცემა“, — განაცხადა ირაკლი ბრაჭულამ.

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის ბიოგრაფიის კვლევითი ვიზიტი ჰარვარდში

ნათო მბოლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულების დოქტორანტი, მონეული ლექტორი გიორგი ამირანაშვილი კვლევითი ვიზიტით ჰარვარდის სამართლის სკოლის ბიბლიოთეკაში იმყოფებოდა. ახალგაზრდა მკვლევარი ვიზიტის ფარგლებში ანგლოამერიკულ სამართლის დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკას გაეცნო, რამაც მისი კვლევა კონტინენტური ევროპის სამართლის სფეროში შეავსო. თსუ-ის დოქტორანტი ამერიკის შეერთებულ შტატებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად გაემგზავრა. კონკურსი სპეციალურად ახალგაზრდა მკვლევარებისთვის ტარდება და მათ ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს.



გიორგი ამირანაშვილის სამეცნიერო მივლინება ჰარვარდის სამართლის სკოლის ბიბლიოთეკაში 2 თვის განმავლობაში (ივლისი-აგვისტო) გრძელდებოდა. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებთან. მათ შორის აღსანიშნავია ჰარვარდის სამართლის სკოლის ბიბლიოთეკის აღმასრულებელ დირექტორთან სიუზენ ვონსთან შეხვედრა, რომელიც ჰარვარდის სამართლის სკოლის ბიბლიოთეკისა და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს ეხებოდა. სიუზენ ვონსმა ქართული სამართლის შესახებ ინგლისურ ენაზე გამოცემული ლიტერატურის შეძენის სურვილი გამოთქვა. შედეგად, განახლდება ბიბლიოთეკის ბაზაზე მოქმედი რეჯინალდ ფ. ლუისის საერთაშორისო სამართლის ცენტრში არსებული თარო, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს ეთმობა. გარდა ამისა, განხილული იყო ჰარვარდის ონლაინ-ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემის (HOLLIS) ბაზაში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტზე გამოცემული ჟურნალების ინგლისურენოვანი ვერსიების აქტივობის საკითხი.

ინფორმაცია ჰარვარდის სამართლის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მიღების კრიტერიუმების, მონეული მეცნიერებისა და მკვლევარების, ჰარვარდის სამართლის სკოლაში ვიზიტის დაფინანსების წყაროების, მათთან თანამშრომლობით კონფერენციების, სემინარებისა და სპეციალური ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობების თაობაზე. სარა ზუკერი დაინტერესდა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტზე მოქმედი საერთაშორისო პროგრამებითა და ფაკულტეტის საბიბლიოთეკო რესურსით.

ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორ-ემერიტუს დუკან კენედს ორჯერ შეხვდა. ვისაუბრეთ ამერიკულ სამართალში არსებული ლიტერატურული წყაროების ტიპებისა და კვლევის თეორიულ საფუძვლებზე. მან საქართველოში ვიზიტისა და თსუ-ში საჯარო ლექციის ნაკითხვის სურვილი გამოთქვა. ასევე, შეხვედრი ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორს ტოდ. დ. რეკოუსს, სადაც ამერიკულ სამართალში არსებული სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიაზე ვიმსჯელეთ. ორივე პროფესორმა საუკუნისხმო რჩევები მომცა სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებით. სადისერტაციო კვლევის ცენტრალური იდეისა და ნაშრომის პრობლემის სტრუქტურის გაცნობის შემდეგ, საკუთარი მოსაზრებები გამაცნეს და ასევე, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მომანდეს კონტრარგუმენტები, რომელთა გათვალისწინება ნაშრომზე მუშაობისას აუცილებელი იქნება“, — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტმა, მონეულმა პროფესორმა გიორგი ამირანაშვილმა.

გიორგი ამირანაშვილი, ასევე, შეხვდა ჟურნალ „ჰარვარდის სამართლის მიმოხილვის“

პრეზიდენტს ჯონათან გულდს. შეხვედრაზე აღნიშნული ჟურნალისა და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პერიოდული გამოცემების შესახებ ისაუბრეს. ჟურნალ „ჰარვარდის სამართლის მიმოხილვის“ პრეზიდენტმა ქართველ დოქტორანტს საგამომცემლო პოლიტიკის, აშშ-ში არსებული სამართლის ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნების პროცედურებისა და ვადების შესახებ მიანოდა ინფორმაცია.

გიორგი ამირანაშვილი თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე 2010 წლიდან მუშაობს. იგი გახლავთ ამავე ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი. 2009-2010 წლებში საფაკულტეტო კონფერენციების კოორდინატორი და თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წევრი იყო. ამ დროისთვის უკვე 3 კრებულს თანაავტორი, 10-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და 2 სტატიის თარგმანის ავტორია.

მიმდინარე წელს გიორგი ამირანაშვილი კვლევითი მივლინებით გერმანიაშიც იმყოფებოდა. მან მაქს-პლანკის საზღვარგარეთის და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის სტიპენდია მოიპოვა, რომლის ფარგლებში თებერვალში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში იმუშავა. ამ დროისთვის უკვე „ჰამბურგის მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის მეგობართა“ არასამეწარმეო ასოციაციის წევრია. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, კონკურსის შედეგად, მისი სამეცნიერო მოხსენება ფაკულტეტის საბჭოს მიერ ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმისთვის შეარჩიეს.

საჯარო განხილვა

მეთოხმეტე გვერდიდან

ლოს მთავრობების საქმიანობის შეფასება და ბოლოს, 4. საქართველო და დანარჩენი სამყარო (საქართველო-რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები). ავტორი ნიგნში ამომწურავად მიმოიხილავს იმ პერიოდში რუსეთის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიმართული მხარდაჭერის ეკონომიკური ეკონომიკაზე გადასვლასთან იყო დაკავშირებული. „ნიგნის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უმოკლეს დროში შეძლო თავისი ცოდნის გადახალისება, არსებული რეალობაზე მორგება და გარდამავალი ეკონომიკის თეორიული საფუძვლის ერთერთ აღიარებულ მკვლევარად წარმოგვიდგა. მიმართა, რომ ეს ნაშრომი მიუკუთვნება იმ კატეგორიის ნიგნს, რომელიც კრიტიკის გარეშე უნდა მივიღოთ და არ ვეძებოთ მასში ნაკლოვანებები. ამის თქმის საფუძველს იძლევა ნიგნის სპეციფიკა და მასში განხილული მოვლენებისა და ფაქტების მიუკუთვნებელი, ობიექტური შეფასება“, — აღნიშნა პროფესორმა იური ანანიშვილმა.

მდგომარეობის ობიექტური და მიუკერძოებელი ხედვაც წარმოაჩინოს.

პროფესორმა ავთანდილ სილაგაძემ ქართულ ეკონომიკურ საზოგადოებას წინამდებარე მონოგრაფიის გამოცემა მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს ნიგნი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია, რაც კი დღემდე გამოქვეყნებულა. „იგი დაინერა აღიარებული მეცნიერის მიერ, რომელიც თავად ხელმძღვანელობდა ეკონომიკური რეფორმების უმთავრეს მიმართულელებს. დასმულ პრობლემებში ავტორი ღრმად ერკვევა და ნიგნი სპეციალისტებში მყისიერ პოპულარობას ჰპოვებს. იგი რომ ყველასთვის საინტერესოა, ის ფაქტიც მოწმობს, რომ მისი ყველა ეგზემპლარი გაყიდულია“, — აცხადებს ავთანდილ სილაგაძე. პროფესორის თქმით, სასურველია ავტორმა შემდეგ გამოცემებში მეტი ყურადღება დაუთმოს საქართველოს განვითარების ფაქტობრივი მასალის ანალიზს და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას: „ეს იქნება კიდევ ერთ-ხელ ახლებურად დანახვა იმ კომპლექსური პრობლემებისა, რომელიც წინამდებარე ნაშრომში ბრწყინვალედ არის წარმოდგენილი“, — დასძინა ავთანდილ სილაგაძემ.

„წარმოდგენილი ნიგნი არ არის წმინდა ეკონომიკური შინაარსის, იგი გახლავთ პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერების მიჯნაზე დანერგილი ნაშრომი. უფრო მეტიც, იგი განეკუთვნება ისეთ სპეციფიკურ დარგს,

როგორც არის ქვეყანათმცოდნეობა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოში ეკონომიკის პოსტრეკულუციური განვითარების ანალიზი (2004-2012 წწ.). აქ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს უნდა გავუსვა ხაზი: იყო თუ არა იმდროინდელი მთავრობა ლიბერალური, ეკონომიკაში საბაზრო პრინციპების მოხრე-ავტორის პასუხია — არა! რადგან სიტყვით ახსენებდენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დემოკრატია, ხოლო საქმით ნეოპოლიტიკური მეთოდებით მოქმედებდენ — არ არის მისაღები! სწორედ ამ საკითხების ღრმა და ობიექტურ ანალიზს გადმოსცემს ავტორი შესანიშნავ ნაშრომში, რომელიც მკითხველთა ფართო წრეს დაინტერესებს“, — აღნიშნა პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ

მომხსენებლების შემდეგ შემაჯავებელი სიტყვით გამოვიდა თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას ნიგნის „საქართველოს ეკონომიკა — რეფორმები და ფსევდორეფორმები“ მაღალი შეფასებისათვის და მზადყოფნა გამოთქვა, რომ მკითხველის მიერ გამოთქმული შენიშვნები და სურვილები გაითვალისწინოს შემდგომ გამოცემებში.

აკადემიკოსმა საინტერესოდ ისაუბრა იმ ეკონომიკურ პრობლემებზე, რომელთა განაღობაზე შემდეგ გამოცემებში აპირებს — იქნება ეს ლარის საკითხი თუ საქართველოს

ეკონომიკის პოსტკომუნისტური განვითარების ისტორია და მისი გამყარებულები. „დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ნაშრომის შექმნა აუცილებელია, რათა უკეთესად გავიაროთ, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია და რისი არა, ვისწავლოთ შეცდომებზე და სიღრმისეულად გავანალიზოთ, თუ საით მივდივართ. მჯერა, რომ ამ ნიგნს ახალგაზრდობა ინტერესით გაეცნობა“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

მას ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია იმ წესის აღდგენა, როცა უნივერსიტეტში სპეციალისტთა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით ხდებოდა გამოცემული ნიგნების საჯარო განხილვა. მისი თქმით, დღევანდელი ღონისძიება აღნიშნული წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ნიგნი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტებისთვის, ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, აგრეთვე, ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც საქართველოს ეკონომიკის აქტუალური პრობლემები აინტერესებს, მათი გააზრება და ქართული ეკონომიკური გამოცდილებიდან დასკვნების გამოტანა სურს.

ნიგნი ეძღვნება ავტორის მეგობრებს, წარჩინებულ ეკონომისტებს — გია თოფურიას, ზურაბ სოსელიას, ნოდარ ულუმბერაშვილის და გიორგი ნერეთლის ნათელ ხსოვნას.



პირველი ქართველი დიპლომატი არქიტექტორი



ღვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სვიმონ კლდიაშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ფოტო-გამოფენა და გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას მიერ მომზადებული ფილმის — „სვიმონ კლდიაშვილი — პირველი ქართველი დიპლომატი არქიტექტორი“ (თანავტორები: სალომე ჭანტურაძე და მარიამ გურგენიძე) ჩვენება გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სვიმონ კლდიაშვილის მიერ შექმნილი პროექტები, ექსპედიციის დროს შესრულებული ჩანახაზები, განხორციელებული პროექტების ძველი ფოტოები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე, გამოიფინა ახალი ფოტო-მასალა.

ღვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ბრძანებით 2015 წელი ცნობილი ქართველი არქიტექტორის, სვიმონ კლდიაშვილის წლად გამოცხადდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სვიმონ კლდიაშვილის საიუბილეო წელს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებით აღნიშნავს.

შურთხია ბაროშვილი

„უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ხუროთმოძღვრის, სვიმონ კლდიაშვილის სახელი, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის. საქართველოში, დღესაც, უნივერსიტეტი სწორედ პირველ კორპუსთან ასოცირდება, თუმცა ეს შენობა თავდაპირველად უნივერსიტეტისთვის არ აშენებულა, ბევრმა არც ეს ისტორია და არც ის პიროვნებები იციან, ვინც ამ მამულიშვილურ საქმეს სათავეში უდგა. სწორედ ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ხუროთმოძღვარი სვიმონ კლდიაშვილი. ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოებისთვის ეს ცნობილი გახდეს, რათა იცოდნენ ყველა ღირსეული მამულიშვილის სახელი - კონკრეტულად ღვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აშენების ისტორია და მისი არქიტექტორიც. სტუდენტების შემოთავაზების გათვალისწინებით კი 2015 წელი სვიმონ კლდიაშვილის წლად გამოცხადდა და მთელი წლის მანძილზე სხვადასხვა ღონისძიება დაიგეგმა, რომლის ფარგლებში, რამდენიმე თვის წინ, უნივერსიტეტის ეზოში სვიმონ კლდიაშვილის ბიუსტი გაიხსნა“, - განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

„როდესაც უნივერსიტეტს ვახსენებთ, თვალწინ წარმოგიდგება ლამაზი თე-

ორი გრანდიოზული შენობა, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მისი ავტორი სვიმონ კლდიაშვილი იყო. იგი გახლდათ პირველი პროფესიონალი ხუროთმოძღვარი, რომლის სახელთან დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ძველი და ახალი თბილისის გამიჯვნა და, მეორე მხრივ, ეროვნული და ევროპული ტრადიციების შეკავშირება. დღეს მახსენდება ჟურნალისტის, მალხაზ რაზმაძის ემოციური სიტყვები, რაც კარგად გამოხატავს სვიმონ კლდიაშვილის ღვაწლს უნივერსიტეტის მიმართ. „მისი შთამომავლობის სანაცვლოდ, მისი არარსებული შვილის სანაცვლოდ, მისი ხანმოკლე სიცოცხლის სანაცვლოდ და მისი კაცური მამულიშვილობის სადიდებლად აღმართულა უნივერსიტეტი“.

დღევანდელი ღონისძიება არ შედგებოდა, რომ არა რექტორისა და სტუდენტების ერთობლივი გადაწყვეტილება. ცნობილია, რომ სვიმონ კლდიაშვილი მოესწრო უნივერსიტეტის გახსნას. მან პირადი და საბა კლდიაშვილის ბიბლიოთეკა უშურველად გადასცა უნივერსიტეტს, რომელიც დღეს თსუ-ის ბიბლიოთეკის საცავში ინახება“, - აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დიდი ინტერესი გამოიწვია პირველი ქართველი აკადემიური

განათლების მქონე არქიტექტორის შესახებ გაკეთებულმა დოკუმენტურმა ფილმმა: „სვიმონ კლდიაშვილი — პირველი ქართველი დიპლომატი არქიტექტორი“, რომლის ჩვენება პირველი კორპუსის დარბაზში გაიმართა. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, „ფილმი ძალიან საინტერესო იყო თავისი შინაარსით და შემეცნებითი თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს სვიმონ კლდიაშვილის სახელის პოპულარიზაციას“.

ღონისძიებას ესწრებოდა სვიმონ კლდიაშვილის ნათესავი რეზო კლდიაშვილი, რომელმაც ფილმის შესახებ თავისი მოსაზრება გაგვიზიარა: „სვიმონ კლდიაშვილის გახსენება ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო მისი შთამომავლებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. იგი შესანიშნავი ოჯახის წარმომადგენელი იყო, რომელთაგან ერთ-ერთი ქიმიკოსი საბა კლდიაშვილია. მასაც ასევე ევროპული

განათლება ჰქონდა მიღებული და 1905 წელს, 32 წლის ასაკში, ებრაელების დარბევას შეეწირა. ეს ფილმი მრავალმხრივ საინტერესო და, რაც მთავარია, ძალიან ინფორმაციულია, ბევრი რამ ჩემთვისაც უცნობი იყო. ფილმი საოცარი სიყვარულით და სითბოთია გადაღებული. ასეთი ფილმები იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ შთამომავლობას დარჩება“, - აღნიშნა რეზო კლდიაშვილმა.

„ფილმი მრავლისმომცველი და საინტერესოა. მნიშვნელოვანია, რომ სვიმონ კლდიაშვილის სახელი, ძირითადად, დაკავშირებული იყო უნივერსიტეტის მშენებლობასთან და ტაო-კლარჯეთის ექსპედიციასთან. ფილმმაც და გამოფენამაც წარმოაჩინა, რომ იგი ბევრად მრავალმხრივი ადამიანი იყო. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს შენობა შეიქმნა ახალგაზრდებისთვის და დღესაც ახალგაზრდობა იყო ამ ლო-



ნისძიებების ორგანიზატორი. ეს ერთობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს“, - განაცხადა თსუ-ის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ზაზა სხირტლაძემ.

პირველი ქართველი დიპლომატი არქიტექტორი სვიმონ კლდიაშვილი 1865 წელს დაიბადა. 1895 დაამთავრა ფერწერის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი მოსკოვში. 1896-1899 წლებში ქართველი ხელოვნებათმცოდნე და მეცნიერი ვახტანგ ბერიძე ამბობდა, უნივერსიტეტის მშენებლობა მისთვის უმთავრესი ეტაპი იყო, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ ზოგადეროდელი თბილისის სახელმწი-



მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექციონერი	ანა ბოლქვაძე		tsunewspaper@tsu.ge
კომპ. უზარუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62

